მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელთა განმარტებით, სკოლას არ ჰქონდა ახალაშენებული შენობა დარეგისტრირებული, თუმცა შენობა იყო დამთავრებული და მასში მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სექტემბრის თვეში უნდა მომხდარიყო სკოლის ჩაბარება, თუმცა შეიქმნა გარვეული პრობლემა მეზობლისაგან თანხმობის მოპოვების კუთხით. აღმოჩნდა, რომ მეზობელი იყო პატიმარი და ციხეში ვერავინ შედიოდა მისი ნებართვის ასაღებად. საბოლოოდ, სკოლის წარმომადგენლებმა მოახერხეს პატიმრის მონახულება და მისგან ნებართვის აღება. შესაბამისად, ამ ეტაპზე უკვე შეტანილი ჰქონდათ განაცხადი ზედამხედველობის სამსახურში.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა, აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით ზედამხედველობის სამსახურს გააჩნდა განაცხადის განხილვისათვის 20 დღიანი ვადა.

საბჭოს წევრმა, ანა კლდიაშვილმა, დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა დაზუსტება, თუ რომელ მისამართზე ფუნქციონირებდა დღეს რეალურად სკოლა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სკოლა განთავსებული იყო მხოლოდ ქეთევან წამებულის №23-ში მდებარე ორ შენობაში, რომელთაგან ერთი იყო ახალაშენებული შენობა და სკოლა უახლოეს დღეებში მოახდენდა მის დარეგისტრირებას საჯარო რეესტრში. რაც შეეხება, როდენის №21-ს, აღნიშნული წარმოადგენდა მხოლოდ შპს-ს იურიდიულ მისამართს.

საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა, მიმართა საბჭოს დაწესებულებისათვის, ხარვეზის გამოსწორების მიზნით, ვადის განსაზღვრის წინადადებით.

საბჭომ იმსჯელა ავტორიზაციის სტანდარტებთან შპს - ქართულ სასწავლებელ - თბილისის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა ხარვეზების სრულად გამოსწორებისათვის დაწესებულებისათვის 15 დღიანი ვადის განსაზღვრა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქართულ სასწავლებელ - თბილისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - ქართულ სასწავლებელ - თბილისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 15 დღის ვადა.

14. სპს - თამარ ნათენაძეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მონიტორინგის სამსახურის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დაწესებულების მიერ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი გამოსწორებულ იქნა.

თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებს, ადასტურებდნენ თუ არა, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებმა, დაადასტურეს ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა სპს - თამარ ნათენაძეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს - თამარ ნათენაძის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სპს - თამარ ნათენაძის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

15. შპს - კოლეჯ და სკოლა - ლიცეუმ „ფესვებში” განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მონიტორინგის სამსახურის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დაწესებულების მიერ გამოსწორებულ იქნა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი, გარდა ერთი ხარვეზისა:

1. სკოლა არ არის დარეგისტრირებული, როგორც ელექტროენერგიის გადამხდელი. ელექტროენერგიის გადამხდელად დარეგისტრირებულია ფართის მეპატრონე. სკოლამ მიმართა შესაბამის ორგანოს, კერძოდ, თელასს.

მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ამ ეტაპზე, დაწესებულების მიერ, სრულად იყო აღმოფხვრილი ყველა ხარვეზი, მათ შორის, ელექტროენერგიის გადამხდელად დარეგისტრირების ნაწილშიც.

საბჭომ განიხილა შპს - კოლეჯ და სკოლა - ლიცეუმ „ფესვებში” განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კოლეჯ და სკოლა - ლიცეუმ „ფესვების“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - კოლეჯ და სკოლა - ლიცეუმ „ფესვების“ ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

16. შპს - ლაზიკასთვის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

დაწესებულებამ მატერიალური რესურსის სახით სასწავლო ფართი დაიმატა ქალაქ თბილისში. ამჟამად ის აგლაძის ქ. N37-ში, ოთხსართულიანი შენობის მეოთხე სართულზე, შპს „საქართველოს ნიკო ნიკოლაძის სახელობის უნივერსიტეტთან გაფორმებული ქვეიჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, ფლობს 350 კვ.მ. (საკადასტრო კოდი 01.13.05.007.009).

აღნიშნულ მისამართზე მატერიალურ ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით განხორციელდება 4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: ბუღალტრის მე-3 საფეხური; ინფორმაციული ტექნოლოგის მე-3 საფეხური; მოლარის მე-3 საფეხური; კბილის ტექნიკოსის მე-3 საფეხური.

დაწესებულების სასწავლო აუდიტორიები და ლაბორატორიები ნათდება ბუნებრივად, შენობაში არ არის გათბობის ცენტრალური სისტემა, გათბობის საშუალებად გამოიყენება 8 ერთეული ძველებური ელექტროღუმელი, რომელიც კოლეჯს მიღება-ჩაბარების აქტით გადმოეცა მეიჯარისგან - რაც არ არის საკმარისი შენობის გასათბობად, ვინაიდან სასწავლო პროცესისთვის გათვალისწინებულია 4 აუდიტორია, აუცილებელია მათი თანამედროვე გამათბობელი საშუალებებით აღჭურვა.

მოწყობილია პირველადი დახმარების სამედიცინო კაბინეტი; სველი წერტილები გამიჯნულია, სუფთაა და აკმაყოფილებს ჰიგიენურ ნორმებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის მოწყობილია პანდუსები, დაწესებულებაში ასევე ფუნქციონირებს ლიფტი, მაგრამ არ არის ადაპტირებული სველი წერტილი.

ამჟამად დაწესებულების მფლობელობაშია 6 ერთეული კომპიუტერი, რომელიც კოლეჯს ანალოგიურად, მიღება- ჩაბარების აქტით გადმოეცა მეიჯარისგან. 5 ერთეული კომპიუტერი განთავსებულია კომპიუტერულ კლასში, 1 ცალი კი ბიბლიოთეკაში, კომპიუტერთა ეს რაოდენობა არ არის საკმარისი მოთხოვნილი პროფესიული პროგრამების განსახორციელებლად. არსებული კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტის ქსელში. დაწესებულება ასევე ფლობს პრინტერს და 1 კომბაინს (სკანერი, პრინტერი, ქსეროქსი).

კბილის ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად, დაწესებულების მფლობელობაში არსებული საჭირო ინვენტარი და მასალები წარმოდგენილია დანართის სახით. სასწავლო მიზნებისთვის კოლეჯი ფლობს 54

ორადგილიან მერხს და 118 სკამს (მიღება- ჩაბარების აქტით გადმოეცა მეიჯარისგან), 10 დაფას.

უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას შეძენილი აქვს 2 ცეცხლმაქრი, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული საევაკუაციო გეგმა.

სასწავლო ლიტერატურის გადამოწმებით დადგინდა, რომ ბიბლიოთეკაში ადგილზეა სილაბუსებით გათვალისწინებული ყველა წიგნი.

ექსპერტთა ვიზიტის დროს გადამოწმდა ადგილზე არსებული მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტაცია, რის შედეგადაც დადგინდა, რომ აღნიშნულ მატერიალურ რესურსებს კოლეჯი ფლობს შესყიდვის და იჯარის ხელშეკრულებების საფუძველზე.

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

შესაბამისი ადმინისტრაციული პერსონალი დანიშნულია შპს - ლაზიკის პროფესიული კოლეჯის დირექტორის N21(09. 08. 2012) და შპს - ლაზიკის პროფესიული კოლეჯის თბილისის განყოფილების დირექტორის N1 ბრძანებით (14.09.2012)

თბილისში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს განხორციელებს 13 მასწავლებელი (შპს - ლაზიკის პროფესიული კოლეჯის თბილისის განყოფილების დირექტორის N2 ბრძანება 15.09.2012). გადამოწმდა მათი პირადი საქმეები, კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდლება, დადგინდა, რომ ისინი შეესაბამება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს.

პროგრამის შესაბამის სტრუქტურებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის საფუძველზეც პროფესიული სტუდენტები ამ დაწესებულებებში გაივლიან პროგრამებით გათვალისწინებულ საწარმოო პრაქტიკას.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

შპს - ლაზიკას წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებამ 2012 წლის 21 ნოემბერს დამატებით შეიძინა 5 ელექტროგამათბობელი. აღნიშნულის დასადასტურებლად მან ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტაცია და ფოტომასალა.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოლეჯში სპეციალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის უკვე დამონტაჟებული იყო ადაპტირებული სველი წერტილი. აღნიშნულის დასადასტურებლად მან ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შესაბამისი ფოტომასალა. ავტორიზაციის ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ ფოტომასალის ადგილზე გადამოწმებით დაადასტურა, რომ შპს - ლაზიკას დამონტაჟებული ჰქონდა ადაპტირებული სველი წერტილი.

კომპიუტერებთან დაკავშირებით, დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ კოლეჯს ამ ეტაპზე ჰქონდა 6 კომპიუტერი. მისი განმარტებით, მუშაობის პროცესში დამატებით იგეგმებოდა კომპიუტერული ტექნიკის შეძენა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 31 ივლისის №211-ე გადაწყვეტილებით შპს - ლაზიკას პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 131-ით.

დაწესებულებას ქ. თბილისში დამატებით სურდა პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა 70-ით.

ავტორიზაციის ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ ქ. თბილისში დაწესებულება გეგმავდა სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად განეხორციელებინა ინფორმაციული ტექნოლოგის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. შესაბამისად, მისი აზრით, განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპიუტერების არსებული რაოდენობა ვერ უზრუნველყოფდა 70 პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას. ავტორიზაციის საბჭოს წევრის, ლალი ღოღელიანის განმარტებით, ინფორმაციული ტექნოლოგიის მე-3 საფეხურის პროფესიულმა სტუდენტებმა აქტიურად უნდა იმუშაონ კომპიუტერებთან. ლალი ღოღელიანის განმარტებით, თეორიულად შესაძლებელი იყო, რომ 70-ივე პროფესიული სტუდენტი ჩარიცხულიყო სწორედ ინფორმაციული ტექნოლოგის მე-3 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. შესაბამისად, 6 კომპიუტერი ლალი ღოღელიანის მოსაზრებით, 70 პროფესიულ სტუდენტს ვერ მისცემდა იმის საშუალებას, რომ სრულყოფილად და შეუფერხებლად მიეღოთ განათლება. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმაც. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა, ნანა ჭიღლაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას პროფესიული პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიული სტუდენტებისთვის უნდა შეექმნა შესაბამისი საგანმანათლებლო გარემო.

კოლეჯის დირექტორი დაინტერესდა, შესაძლებელი იყო თუ არა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 50-ით.

სხდომის თავმჯდომარის მოსაზრებით, შესაძლებელი იყო ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიღებისას გაეკეთებინა დათქმა, რომლის მიხედვითაც დაწესებულებას, გარდა ინფორმაციული ტექნოლოგის მე-3 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისა, შეეძლო მიეღო პროფესიული სტუდენტები დანარჩენ დამტკიცებულ პროფესიულ პროგრამებზე.

ავტორიზაციის საბჭოს წევრის, ლალი ღოღელიანის მოსაზრებით, დაწესებულებას ინფორმაციული ტექნოლოგის მე-3 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მიღება შეეძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ შპს - ლაზიკა ქ. თბილისში არსებულ ფართზე შეიძენდა დამატებით მინიმუმ 5 კომპიუტერს.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ლაზიკასთვის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - ლაზიკას (საიდენტიფიკაციო კოდი: 415085295) პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს - 181 პროფესიული სტუდენტით (მათ შორის: ქ. ფოთი - 131; ქ. თბილისი - 50).

ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე 20:38 საათზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 21:03 საათზე.

17. შპს - საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ავტორიზაციის განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზებზე ისაუბრა კონსტანტინე ჩოკორაიამ.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 ყველა საბაკალავრო პროგრამის აღწერაში მითითებულია, რომ პროგრამის ტიპი არის ძირითადი, ხოლო პროგრამის სტრუქტურის ნაწილში კრედიტები ნაწილდება შემდეგნაირად: 135 კრედიტი - ძირითადი კურსები, 25 - კრედიტი - საუნივერსიტეტო კურსები, არჩევითი საუნივერსიტეტო კურსი - 5 კრედიტი, დამატებითი პროგრამა და თავისუფალი კრედიტები - 75 კრედიტი. ამ შემთხვევაში პროგრამების მოდელი უნდა იყოს - major-minor (ძირითადი და დამატებითი), ნაცვლად მხოლოდ ძირითადისა (major). ამასთან, თავისუფალი კურსების შეთავაზება ხდება minor პროგრამის არჩევის შემთხვევაშიც და მის გარეშეც. თუმცა, თავისუფალი კრედიტების ჩამონათვალი წარმოდგენილია 6 დასახელების თითოეული 5 კრედიტიანი კურსის სახით (ჯამი 30 კრედიტი), რაც რაოდენობით მნიშვნელოვნად ჩამორჩება 75 კრედიტს (დანართი 1). ამ შემთხვევაში ბუნდოვანია, minor პროგრამის არჩევის გარეშე სტუდენტის მიერ 75 კრედიტის დაგროვების შესაძლებლობა.

1.2. ტერმინი „საუნივერსიტეტო საგნები“ არ შეესაბამება დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას „კოლეჯი“.

1.3. „საბუღალტრო აღრიცხვის“ საბაკალავრო პროგრამის მიზნებში მე-3 პუნქტში საუბარია უცხო ენის სწავლებასა და საერთაშორისო ჰუმანიტარული თანამშრომლობის გაფართოებაზე. ამასთან, პროგრამებში უცხო ენის (ინგლისური) სწავლებას სავალდებულო რეჟიმში ეთმობა მხოლოდ 10 კრედიტი, ხოლო 10 კრედიტი ბიზნეს-ინგლისურის მიმართულებით წარმოდგენილია თავისუფალი კრედიტების სახით. აქვე აღსანიშნავია, რომ „საერთაშორისო ჰუმანიტარული თანამშრომლობისათვის“ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულიად შეუსაბამოა.

1.4. პროგრამებსა და სილაბუსებში შეთავაზებულია მხოლოდ სწავლის მეთოდები, ანუ ფორმატი (მაგ., ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვ.), შეფასების მეთოდები, თუმცა, არ არის წარმოდგენილი სწავლების მეთოდები (მაგ., წიგნზე მუშაობა, პრობლემური სწავლება და სხვ.).

1.5. პროგრამებზე დაშვების წინაპირობების პუნქტში გამოყენებულია ტერმინი „საშუალო განათლება“ ნაცვლად „სრული ზოგადი განათლებისა“.

1.6. დამატებითი პროგრამები წარმოდგენილია მხოლოდ სასწავლო გეგმა-მატრიცის სახით - პროგრამის აღწერილობის, მიზნებისა დნ ა სწავლის შედეგების გარეშე. აღნიშნულ

გეგმაში დამატებულია კვალიფიკაციის პუნქტი და იმეორებს ძირითადი პროგრამის კვალიფიკაციას (მაგ., „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი“ შესაბამის დარგში). სასწავლო გეგმა-მატრიცის თანახმად ყველა საგანი არის სავალდებულო, ვინაიდან 12- ვე საგანი არის 5 -კრედიტიანი, რაც შეადგენს დამატებითი პროგრამის სრულ მოცულობას-60 კრედიტს. შესაბამისად, სტუდენტისთვის სასწავლო კურსების არჩევანის მრავალფეროვნება შეზღუდულია.

ანალოგიური მდგომარეობა ფიქსირდება ძირითადი პროგრამის სასწავლო-გეგმა-მატრიცაში. ძირითადი პროგრამის ყველა სასწავლო დისციპლინა არის სავალდებულო, არჩევითი საგნები წარმოდგენილია მხოლოდ ე.წ. საუნივერსიტეტო ზოგადსაგანამანათლებლო მოდულიდან და შეადგენს მხოლოდ 5 კრედტს.

1.7. კოლეჯში სემესტრული სასწავლო დატვირთვა შეადგენს 19 კვირას, აქედან - 15 კვირა სასწავლო - სააუდიტორიო-სალექციო, 4 კვირა სასესიო. მათ შორის -მე-8 კვირას ტარდება შუალედური გამოცდა. ბოლო 3 კვირა ეთმობა სასესიო პერიოდს. რაც შეეხება დამატებით გამოცდას, სასწავლო კურსების სილაბუსებში დამატებითი გამოცდებისთვის არ არის გამოყოფილი დრო (სასწავლო კურსები: „ეკონომიკის პრინციპები“; „ბიზნესის საფუძვლები“ . ამით დარღვეულია “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მეოთხე მუხლი.

1.8. სასწავლო კურსების სილაბუსებში შუალედურ შეფასებას ეთმობა 60% , ხოლო ფინალურ შეფასებას 40%. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, სტუდენტთა მეცადინეობებზე დასწრება ითვლება შუალედური შეფასების ელემენტად და ფასდება შესაბამისი ქულით (მეცადინეობების 20% -ის გაცდენა ფასდება 0 ქულით). თუმცა, არც პროგრამებსა და არც სილაბუსებში არაა წარმოდგენილი კომპონენტების მიხედვით შეფასების ჯამური ქულების რანჟირება. მით უმეტეს, დასწრების ქულის გადანაწილება საერთოდ არ ჩანს. ეს ადასტურებს იმას, რომ დასწრებისა და სააუდიტორო აქტივობის ქულები ლექტორს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია სხვანაირად გაანაწილოს, ანუ მოცემული შეფასება შესაძლებელია შეიცვალოს ლექტორის სურვილისამებრ. თუ როგორ მოხდება ეს, არსად არ არის გაწერილი. ამდენად, სილაბუსებში მაკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული, თუ როგორ ხდება სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება. ასევე, სილაბუსებში ნათლად და კონკრეტულად არ არის გაწერილი სტუდენტის შეფასება კომპონენტებს შორის. ამდენად, სილაბუსები არ ასახავს სტუდენტის რეალურ აკადემიურ დატვირთვას. ამით დარღვეულია “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების პირველი მუხლი.

1.9. პრაქტიკის სილაბუსი იდენტურია ყველა საგანმანათლებლო პროგრამისთვის. ამასთან, პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობა პროგრამებსა და კურიკულუმებში არ არის გათვალისწინებული. ასევე გაუგებარია პრაქტიკის კომპონენტის ტიპი - სასწავლოა ეს უკანასკნელი თუ საწარმოო. სილაბუსში ის მოხსენიებულია, როგორც „სასწავლო პრაქტიკა“, თუმცა, შინაარსობრივად წარმოდგენილია, როგორც საწარმოო პრაქტიკა (გულისხმობს ინსტიტუციიდან გასვლით ციკლს - დანართი 3).ამას ადასტურებს დაწესებულების მიერ გაფორმებული მემორანდუმებიც (იხ. დანართი 4)

10. საგანმანათლებლო პროგრამები ატარებს ტრაფარეტულ ხასიათს. მათი ანალოგიური ვარიანტები დაფიქსირებულია რამდენიმე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და უკავშირდება შპს „ჯეოედუკონსალტინგის“ ჯგუფის მუშაობას. შესაბამისად, დაწესებულება

ამ ეტაპზე არ არის მზად საგანმანათლებლო პროგრამების დამოუკიდებლად შემუშავებისათვის.

2.მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 დაწესებულების საკუთრებაში არსებული ფართი განთავსებულია ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. #47-ში და შეადგენს 1003,4 კვ.მ-ს. საჯარო რეესტის ამონაწერში (საკადასტრო კოდი N01.14.03.035.004) მესაკუთრის გრაფაში დაფიქსირებულია „შპს საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტი“ და აქ არ არის ასახული დაწესებულების შეცვლილი სახელწოდება.

2.2 კოლეჯის ინფრასტრუქტურა და ინტერიერი ძველია. სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ცენტრი აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და ტექნიკით, თუმცა, ინვენტარი განახლების სურვილს იწვევს. კოლეჯში არის 15 კომპიუტერი. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში. კოლეჯის სასწავლო ინვენტარი არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებსა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისადმი წაყენებულ სტანდარტებს. გვხვდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის განკუთვნილი მერხები.

2.3 საბაკალავრო კოლეჯში არსებობს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, არსებობს ასევე გენერატორიც. სველი წერტილები მოუწესრიგებელია. არის ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები. სველი წერტილი სსსმ სტუდენტებისთვის არ არის სათანადოდ ადაპტირებული.

2.4 საბაკალავრო კოლეჯში არსებობს საგანგებო-საევაკუაციო გასასვლელი. დერეფანში გამოკრულია ევაკუაციის გეგმა. ერთი ცეცხლრმაქრი მოთავსებულია დაწესებულების კანცლერის საბაკალავრო კოლეჯში შესასვლელ კიბეზე დამონტაჟებულია პანდუსი. პირველიდან მექვსე სართულამდე მოძრაობს ლიფტი. არსებობს სველი წერტილი სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა სარგებლობისათვის, რომელიც არ არის სათანადოდ ადაპტირებული.

2.5 ბიბლიოთეკის ფონდში არის 6275 წიგნი, 13-CD. ბიბლიოთეკა ჩართულია ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში (openbiblo). ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას გადამოწმებულ იქნა კოლეჯის ბიბლიოთეკა. კერძოდ, შერჩევის წესით გადამოწმდა სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის ნაწილი, რომელთაგან ნაწილი არ აღმოჩნდა ადგილზე. კერძოდ: სასწავლო კურსში - „ბიზნეს ინგლისური“ - სახელმძღვანელო „Market Leader, Intermediate – 2006“; კურსში - „პროექტების მართვა“ - წიგნები: „გ. ქეშელაშვილი, ნ. ფარესაშვილი - „პროექტების მენეჯმენტი - 2010“; შიხაშვილი გ. რუსიძე კ. „პროექტების მენეჯმენტი - 2010“. სახელმძღვანელოები: „თ. ღამბაშიძე, პრაქტიკული მენეჯმენტი - 2008“. ამასთან, კოლეჯის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის დიდი ნაწილი მოძველებულია და წარმოადგენს მხატვრულ ლიტერატურას, რაც არ შეესაბამება კოლეჯის მიერ ამ ეტაპზე წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამებს. ლიტერატურის უმრავლესობა წარმოდგენილია რამდენიმე ეგზემპლერად.

უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ ვიზიტის დასრულებამდე შეიძინა და წარმოადგინა სახელმძღვანელო „Market Leader, Intermediate – 2006“; ხოლო „გ. ქეშელაშვილი, ნ. ფარესაშვილი - „პროექტების მენეჯმენტი - 2010“ -ის ქსეროასლი.

3.ადამინურ რესურსთან მიმართებით:

3.1 დაწესებულების რექტორის 2012 წლის 31 მაისის #39-ე ბრძანებით: „ შპს საქართველოს ჰუმანიტარულ-ტექნიკური უნივერსიტეტისადმი“ გამოცხადდა აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსი შემდეგ ვაკანსიებზე: 3 სრული პროფესორი, 14 ასოცირებული პროფესორი და 3 ასისტენტ პროფესორი. პრეტენდენტთა საბუთების მიღების

ვადა განისაზღვრა 2012 წლის 03. 06 - დან 2012 წლის 17.07 ჩათვლით. კონკურსის შედეგების გამოცხადების ვადად განისაზღვრა 21 აგვისტო 2012 წელი. აღნიშნულით დაირღვა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც კონკურსი ცხადდება საბუთების მიღებიდან არანაკლებ ერთი თვით ადრე. ასევე დარღვეულია დაწესებულების „აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო კომისიის დებულება“, რომლის მიხედვითაც საბუთბის მიღებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე ცხადდება კონკურსი. ამასთანავე, დარღვეულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1 პუნქტიც, რომლის მიხედვითაც აკადემიური თანამდებობის დაკავება შესაძლებელია მხოლოდ ღია კონკურსის, გამჭვირვალე, თანასწორი და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებით. დაწესებულების კონკურსის შესახებ ცნობები გამოქვეყნებულია მხოლოდ კოლეჯის ვებ-გვერდზე და ასევე გაზეთ „საქართველოს დედაქალაქში“, რომელიც დაფუძნებულია ამავე კოლეჯის დამფუძნებლის მიერ. შესაბამისად, აღნიშნული გაზეთი ვერ ჩაითვლება „ღია, თანაბარი და გამჭვირვალე“ კონკურსის ჩატარების წინაპირობად. საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის შედეგები გამოცხადდა 2012 წლის 20 აგვისტოს, ნაცვლად ბრძანებით განსაზღვრული ვადისა - 2012 წლის 21 აგვისტო. გაზეთში გამოქვეყნებულ განაცხადში მითითებულია, რომ კონკურსი ცხადდება 2012 წლის 01 ივნისიდან და საბუთების მიღება დაიწყო 03 ივნისიდან. საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის შედეგები გამოცხადდა 2012 წლის 20 აგვისტოს, ნაცვლად ბრძანებით განსაზღვრული ვადისა - 2012 წლის 21 აგვისტო. შესაბამისად, დაწესებულებას არ უდასტურდება აკადემიური პერსონალი. კოლეჯს არ უდასტურდება აკადემიური პერსონალი.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგებელმა გოჩა თუთბერიძემ 1.1 შენიშვნასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამაში ნათლად იყო ჩამოყალიბებული თუ რისთვის იყო გათვალისწინებული 75 კრედიტი, კერძოდ 60 კრედიტი დამატებითი სპეციალობისათვის და 15 კრედიტი თავისუფალი კომპონენტისათვის. მან აღნიშნა, რომ სტუდენტებისათვის პროგრამაში არჩევითობა იყო უზრუნველყოფილი.

ლალი ღოღელიანმა აღნიშნა, რომ 1.1 პუნქტთან მიმართებით შესაძლებელია საქმე გვქონოდა ტექნიკურ ხარვეზთან.

იოსებ სალუქვაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული შეიძლება არ ჩათვლილიყო არსებით ხარვეზად.

კონსტანტინე ჩოკორაიამ განაცხადა, რომ ავტორიზაციის პროცესში მოწმდება რამდენად გასაგებად არის ჩამოყალიბებული პროგრამის სტრქტურა, რათა ის მარტივად აღსაქმელი იყოს პირველ რიგში სტუდენტისათვის, სწორედ ამ მიზეზით მოხდა 1.1 შენიშვნის დაფიქსირება.

გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ პროგრამაში კრედიტები ისე იყო განაწილებული, რომ სტუდენტს ეძლეოდა შესაძლებლობა აერჩია ძირითადი სპეციალობა და მასთან ერთად დამატებითი სპეციალობა. მისი თქმით, პროგრამაში ტექნიკური ხასიათის შეცდომა იყო გაპარული, რადგანაც ადრე დაწესებულების სახელწოდება შეიცავდა სიტყვა ,,უნივერსიტეტს“, რომელიც შემდგომ შეიცვალა კოლეჯით. 1.3 შენიშვნასთან დაკავშირებით ითქვა, რომ პროგრამაში 10 კრედიტი ეთმობოდა ბიზნეს ინგლისურის სწავლებას, რითაც უზრუნველყოფილი იყო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია. რაც შეეხება მატერიალურ

რესურის გაუმჯობესების საკითხს ის დაწესებულებას სტრატეგიული განვითარების 6 წლიან გეგმაში უკვე ჰქონდა გათვალისწინებული.

ლალი ღოღელიანის მოსაზრებით 10 კრედიტი, რომელიც ბიზნეს ინგლისურს ეთმობოდა, ალბათ არ იქნებოდა საკმარისი სტუდენტს მიეღწია იმ შედეგისათვის, რაც პროგრამით იყო გათვალისწინებული და ალბათ სტუდენტებიც უკმაყოფილოები იქნებოდნენ ამით.

იოსებ სალუქვაძემ განმარტა, რომ იმ უნივერსიტეტში სადაც ის ასწავლიდა, კერძოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, უამრავ პროგრამაში იყო გათვალისწინებული მხოლოდ ათი კრედიტი უცხოენოვანი საგნებისათვის.

კონსტანტინე ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ უცხოენის სწავლება რამდენიმე კომპონენტს მოიცავს, მათ შორის უცოეონოვან საგნებს, უცხოენოვან ლიტერატურას სხვადასხვა საგანში, უცხო ენის ცალკე საგნად სწავლებას, რაც უნისონში გვაძლევს შესაძლებლობას სტუდენტი გავიდეს იმ შედეგზე, რასაც კვალიფიკაციათა ჩარჩო ითხოვს.

ნანა ჭიღლაძემ გააკეთა განმარტება, რომ თსუ-ს პროგრამები იყო აკრედიტირებული და შესაბამისად, ყველგან უცხოენის კომპონენტი სათანადოდ იყო გათვალისწინებული იმ კრიტერიუმების შესაბამისად, რაზე იყო ისაუბრა.

გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ პროგრამაში გათვალისწინებული მეთოდები სრულიად საკმარისი იყო ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამის შესასწავლად.

კონსტანტინე ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ პროგრამაში საერთოდ არ იყო მითითებული სწავლების მეთოდი, არამედ საუბარი იყო სწავლების ფორმატზე, ინდივიდუალურად რომელი პროფესორი რა მეთოდს აირჩევს ეს მისი გადასაწყვეტია, თუმცა სილაბუსებში გათვალისწინებული მეთოდების ერთობლიობა უნდა იყოს ასახული პროგრამაში.

გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ მეთოდები სილაბუსებში ცალკე იყო გაწერილი. თუმცა კონსტანტინე ჩოკორაია არ დაეთანხმა მას და აღნიშნა, რომ სწავლების მეთოდები არც სილაბუსებში არ იყო გათვალისწინებული.

გოჩა თუთბერიძემ 1.5 შენიშვნასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ის ტექნიკური ხასიათის იყო, ხოლო 1.6 შენიშვნასთან დაკავშირებით ითქვა, რომ მაინორ პროგრამა სტუდენტს არ ანიჭებს კვალიფიკაციას, შესაბამისად სწავლის შედეგები ვერსად გაიწერებოდა. გოჩა თუთბერიძის თქმით, თუ პირი დამატებით სპეციალობას აირჩევდა, მაშინ ის გათვალისწინებული იქნებოდა დიპლომის დანართში. არჩევანის გამჭირვალობასთან დაკავშირებით გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ დამატებითი სპეციალობის ბლოკი ისე იყო შეთავაზებული, რომ იქ წარმოუდგენელი იქნებოდა არჩევითი საგნების შეთავაზება.

კონსტანტინე ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ არჩევითობის პრობლემა ეხება არა მხოლოდ დამატებით სპეციალობას არამედ ძირითად სპეციალობასაც.

გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ ის ვერ დაეთანხმებოდა ექსპერტის შენიშვნას დამატებით გამოცდის საათებისა და შეფასების კომპონენტების სილაბუსში გაწერასთან დაკავშირებით.

ლალი ღოღელიანმა აღნიშნა, რომ დამატებითი გამოცდის არსებობას განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება ითხოვდა, ასევე უნდა ყოფილიყო პროგრამაში ასახული შეფასების კომპონენტები, რათა სტუდენტისათვის სილაბუსშივე ნათლად იყოს გასაგები სწავლების ორგანიზების პროცესი.

გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება აკადემიურ საბჭოზე იხილავდა და რექტორის ბრძანებით ამტკიცებდა შეფასების კომპონენტებს, რაც საერთო იყო მთელი უნივერსიტეტისათვის. პრაქტიკასთან დაფიქსირებულ შენიშვნაზე გოჩა თუთბერიძემ თქვა,

რომ მემორანდუმის საშუალებით მიმდინარეობდა პრაქტიკა, სადაც გათვალისწინებული იყო, როგორც თეორიული სწავლება აგრეთვე პრაქტიკაც.

თემურ წურწუმიამ აღნიშნა, რომ ის ვერ დაეთანხმებოდა შენიშვნას, პროგრამის ტრანფარეტულ ფორმატთან დაკავშირებით, რადგანაც ის იყო დაწესებულების აკადემიური პერსონალის მიერ შემუშავებული.

იოსებ სალუქვაძემ აღნიშნა, რომ ეს სერიოზული შენიშვნა იყო.

კონსტანტინე ჩოკორაიამ განმარტა, რომ მსგავსი ტიპის პროგრამები სხვადასხვა სასწავლებელში ექპერტებს ქონდათ ნანახი.

იოსებ სალუქვაძემ აღნიშნა, რომ ეს ფაქტი მისთვის მორალურად მიუღებელი იყო.

თემურ წურწუმიამ აღნიშნა, რომ აღნიშნული შენიშვნა ავტორიზაციის სტანდარტებს არ არღვევდა.

ადამიანურ რესუსრთან დაკავშირებით თემურ წურწუმიამ განმარტა, რომ იყო ტექნიკური ხასიათის ხარვეზი გაპარული ბრძანების ტექსტში. ნაცვლად 3 ივნისისა უნდა ყოფილიყო 3 ივლისი, რაც დაფიქსირებული იყო დაწესებულების ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ბრძანებაში.

კონსტანტინე ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ საქმე გვქონდა ა) ტექნიკურ ხარვეზთან ან ბ) ტყუილთან, რადგანაც 2012 წლის 3 ივნისს გამოცემულ გაზეთში ,,საქართველოს დედაქალაქი“, სადაც განმოხდადა კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, ასევე რექტორის ბრძანებაში დაფიქსირებული იყო კონკურსანტთა საბუთების მიღების დაწყების თარიღი 3 ივნისი.

თემურ წურწუმიამ შენობა-ნაგებობის საკუთრებასთან დაკავშირებულ ხარვეზზე აღნიშნა, რომ სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი არ იყო განახლებული, რადგანაც ადრე დაწესებულება მოიხსენებოდა როგორც უნივერსიტეტი, მიუხედავად ამისა საიდენტიფიკაციო კოდი არ იყო შეცვლილი.

თემურ წურწუმიამ დაწესებულების ინვენტართან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სტრატეგიული განვთარების 6 წლიან და ერთ წლიან გეგმებში გაწერილი იყო მისი გაუმჯობესებისა და განახლების მექანიზმები, რაც ავტორიზაციის მიღების შემდეგ განხორციელდებოდა.

დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ იქ სადაც პირველ კლასელთათვის განკუთვნილი მერხები არსებობდა, წარმოუდგენელი იქნებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გახსნა. ამიტომ მოუწოდა კოლეჯის წარმომადგენლებს ხარვეზები გამოესწორებინათ, გაეუმჯობესებინათ მატერიალური რესურსი და ისე შემოეტანათ ავტორიზაციის განაცხადი ხელახლა.

იოსებ სალუქვაძემ აღნიშნა, რომ არესებითი ხარვეზები ფიქსირდებოდა სამივე სტანდარტთან მიმართებით, შესაბამისად საბჭო სავარაუდოდ მიიღებდა უარყოფით გადაწყვეტილებას, რასაც დაეთანხმნენ საბჭოს წევრები.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 56^4-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის #99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ საბაკალავრო კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 211358868) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 22:00 საათზე.

იოსებ სალუქვაძე
თავმჯდომარე

ანა კლდიაშვილი
მდივანი